



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არმაზციხე

არმაზციხე, ბაგინეთი, ქვ. მცხეთის შიდაციხე მტკვრის მარჯვ. მხარეს, ქალაქის სამხრ. ნაწილში – „დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა“ (ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა). მოხერხებული ადგილმდებარეობის გამო ბატონობდა მცხეთისაკენ მიმავალ გზებზე. ლეონტი მროველი ციხე-ქალაქის პირველ აღმშენებლად ქართლოსს – ქართველთა ნათესავთმთავარს ასახელებს: „ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა... და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ-ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი“ (იქვე). სახელწ. „არმაზციხე“ (ბერძნ.-რომაული წყაროებით: ჰარმოზიკე, ჰარმაქტიკა, ჰერმასტუს და ა. შ.) ქართლის უზენაეს წარმართულ ღვთაებას [არმაზს](#) უკავშირდება.

გათხრები წარმოებდა 1943 წლიდან (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). აღმოჩნდა სამი მკაფიოდ განსხვავებული კულტ. ფენა: ქვედა (ა. I) უძველესი ქალაქისაა და განეკუთვნება ქვ. წ. IV-III სს.; შუა (ა. II) – ქვ. წ. III – I სს.; ზედა (ა. III) – ქვ. წ. I და მომდევნო საუკუნეებს (მცხეთის დედაქალაქობის ხანის დასასრულამდე). გამოვლინდა მშენებლობის 2 ძირითადი წესი. პირველი: უმთავრესი საშენი მასალა ქვათლილი და ალიზ-აგურია; ალიზ-აგურის კედლები ქვათლილთა საძირკველზეა ამოყვანილი; თვით ქვათლილები ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში და ერთიმეორესთან ე. წ. უწყვეტითა გადაბმული; წყობა მშრალია, უდედაბო. მეორე: მშენებლობაში გამოყენებულია დუღაბიც.

ა-ში აღმოჩნილია გალავნის, კოშკებისა და ბურჯების, სამეფო რეზიდენციის ნაგებობათა (სვეტებიანი დარბაზი, აბანო, ღია და დახურული წყალსადენი), სამეფო აკლდამისა და მავზოლეუმის ნანგრევები. დიდი რაოდენობის ოქრო-ვერცხლის ნივთებია აღმოჩნილი

მეფის ასულის სამარხ-სარკოფაგში (II ს.). მნიშვნელოვანი საქალაქო და სამეფო ნაგებობანი გადახურული ყოფილა მცხეთური ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით.

ა-ის, როგორც პოლიტ. და სტრატეგიული ცენტრის, მნიშვნელობა დაეცა მას შემდეგ, რაც დედაქალაქი გახდა თბილისი. სტეფანოზ I-ის (მთავრის) დროიდან „მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოკრდებოდა და კალა აშენდებოდა“ (ჭუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა). 735-738 ა. არაბებმა მოაოხრეს. ა-ში არქეოლ. გათხრები განახლდა 1993 მცხეთის აღორძინების ფონდის თაოსნობითა და სახსრებით.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, წგ. 1, თბ., 1963; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., შრომები, ტ. 6, თბ., 1988; მ ე ლ ი კ ს ე თ - ბ ე კ ი ვ ლ., არმაზი, თბ., 1938.

ა. აფაქიძე
